**შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი (გერმანულ-ქართული კლინიკა)**

2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური მდგომერეობის ანგარიშგება

| **ფინანსური მდგომარეობა**<br>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | **31/12/2022** | **31/12/2021** |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 899.00 | 16,249.00 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 709,310.00 | 350,810.00 |
| მარაგები | 156,934.00 | 65,458.00 |
| სხვა | 156,934.00 | 65,458.00 |
| საინვესტიციო ქონება | | |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | 78,980.00 | 10,544.00 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 233.00 | 233.00 |
| ძირითადი საშუალებები | 956,956.00 | 623,049.00 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 671,260.00 | 482,798.00 |
| სულ აქტივები | 2,574,572.00 | 1,549,141.00 |
| **ვალდებულებები** | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 1,431,295.00 | 1,366,874.00 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 572,498.00 | 386,756.00 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 170,289.00 | 114,147.00 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 118,540.00 | 118,540.00 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 1,891,344.00 | 1,331,993.00 |
| სხვა ვალდებულებები | 368,136.00 | 304,967.00 |
| სულ ვალდებულებები | 4,552,102.00 | 3,623,277.00 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 3,000.00 | 24,000.00 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | (1,980,530.00) | (2,098,136.00) |
| სულ საკუთარი კაპიტალი | (1,977,530.00) | (2,074,136.00) |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 2,574,572.00 | 1,549,141.00 |

დირექტორი

Gogi Morgoshia 12001035658

Digitally signed by Gogi Morgoshia
Date: 2023.12.31 15:37:29

გოგი მორგოშია

| **საქმიანობის შედეგები**<br>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | **31/12/2022** | **31/12/2021** |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 1,408,897.00 | 462,317.00 |
| მომსახურების გაწევიდან | 1,408,897.00 | 462,317.00 |
| გაყიდვების თვითღირებულება | (309,675.00) | (76,202.00) |
| საერთო მოგება | 1,099,222.00 | 386,115.00 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 7,693.00 | 10,545.00 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | (680,291.00) | (149,375.00) |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | (126,048.00) | (119,031.00) |
| საპროცენტო ხარჯი | (51,926.00) | (61,574.00) |
| იჯარის ხარჯი | (6,000.00) | |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | (187,299.00) | (59,448.00) |
| სულ საოპერაციო ხარჯები | (1,051,564.00) | (389,428.00) |
| საოპერაციო მოგება | 55,351.00 | 7,232.00 |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | 62,255.00 | 120,873.00 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 117,606.00 | 128,105.00 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | 117,606.00 | 128,105.00 |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | 117,606.00 | 128,105.00 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | (2,074,136.00) | (2,208,241.00) |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | (21,000.00) | 6,000.00 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | (1,977,530.00) | (2,074,136.00) |

დირექტორი

Gogi Morgoshia 12001035658

Digitally signed by Gogi Morgoshia
Date: 2023.12.31 15:38:36

გოგი მორგოშია

| **ფულადი სახსრების მოძრაობა**<br>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | **31/12/2022** | **31/12/2021** |
|---|---|---|
| მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები | 1,251,417.00 | 427,718.00 |
| მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები | (731,996.00) | (294,239.00) |
| ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 519,421.00 | 133,479.00 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | | |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | (534,771.00) | (139,248.00) |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) | (15,350.00) | (5,769.00) |
| ვალუტის  კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 16,249.00 | 22,018.00 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 899.00 | 16,249.00 |

დირექტორი

გოგი მორგოშია

Gogi Morgoshia 12001035658

Digitally signed by Gogi Morgoshia
Date: 2023.12.31 15:39:50

# ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი (გერმანულ-ქართული კლინიკა)“ დაფუძნებულია 2005 წლის 20 იანვარს და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 202249968.
შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი (გერმანულ-ქართული კლინიკა)-ს იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, გუდამაყრის შესახვევი, N2. კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც აწარმოებს სამედიცინო მომსახურებას. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი გოგი მორგოშია (ს/კ12001035658).

„საზოგადოების“ კაპიტალში პარტნიორთა წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბეჟან წინამძღვრიშვილი (პ.ნ 01030010028).- 40%
სოფიო მიქელაძე (პ.ნ 01008013389) - 10%
ჰანს გიუნტერ გრიგოლაითი (C5J822HCVC) – 3%
შპს მედექსპერტი (სკ 205042238) – 30%
შპს წმინდა გიორგის სახელობის სამედიცინო ცენტრი - 17%

## 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

### 2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება

კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგების- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.
ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

| | 31.12.2021 | 31.12.2022 |
|---|---|---|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 3,0976 | 2,7020 |
| ლარი/1 ევრო | 3,5040 | 2,8844 |

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

2.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდი.

2.5 მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და

დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.6 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით.

2.7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს დაპროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.8 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება მსს ფასს-ის მიხედვით გამოთვლილ საგადასახადო აქტივსა (ვალდებულებებსა) და საქართველოს საგდასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

2017 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის რეფორმა (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონული მოდელის სახელით“) , რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისათვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისათვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შევა ძალაში.
ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებეს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა ).

საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა )არის 15%.

## 3 განმარტებითი შენიშვნები

3.1 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

საკრედიტო რისკი. კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკებთან, მათ შორის საკრედიტო რისკთან. საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურადექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები გულისხმობს, ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს არსებული მოთხოვნების იდენტიფიცირებას და მათი შესაბამისი ფულადი სახსრების მიღებას, რაც განაპირობებს საკრედიტო რისკების მინიმიზაციას.

საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანია კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისადხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური

მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად

ასახავს შპს შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი (გერმანულ-ქართული კლინიკა)“ ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და ხელმოწერილია.

დირექტორი: გოგი მორგოშია

Gogi Morgoshia 12001035658

Digitally signed by Gogi Morgoshia
Date: 2023.12.31 15:35:24